## გუნდების შემადგენლობანი — СОСТАВЫ КОМАНД

### „ზარია" ვოროშილოვგრადი — «ЗАРЯ» Ворошиловград

| | |
|---|---|
| № — ალექსანდრე ტკაჩენკო | № — Александр Ткаченко |
| № — ნიკოლოზ პინჩუკი | № — Николай Пинчук |
| № — ვლადიმერ მალიგინი | № — Владимир Малыгин |
| № — ალექსანდრე იგნატენკო | № — Александр Игнатенко |
| № — ანატოლი ოლენევი | № — Анатолий Оленев |
| № — ალექსანდრე ჟურავლიოვი | № — Александр Журавлев |
| № — ვიქტორ კუზნეცოვი | № — Виктор Кузнецов |
| № — ვალერი შევლიუკი | № — Валерий Шевлюк |
| № — იური კოლესნიკოვი | № — Юрий Колесников |
| № — ანატოლი კუკსოვი | № — Анатолий Куксов |
| № — იური რაბოჩი | № — Юрий Рабочий |
| № — იური ივანოვი | № — Юрий Иванов |
| № — ალექსანდრე სოროკალეტი | № — Александр Сорокалет |
| № — სერგეი ჟურავლიოვი | № — Сергей Журавлев |
| № — ვლადიმერ კობზარევი | № — Владимир Кобзарев |
| გუნდის კაპიტანი ა. ჟურავლიოვი | Капитан команды **А. Журавлев** |
| უფ. მწვრთნელი ი. ზახაროვი | Ст. тренер **И. Захаров** |

### „დინამო" თბილისი — «ДИНАМО» Тбилиси

| | |
|---|---|
| № — დავით გოგია | № — Давид Гогия |
| № — ოთარ გაბელია | № — Отар Габелия |
| № — ნოდარ ხიზანიშვილი | № — Нодар Хизанишвили |
| № — შოთა ხინჩაგაშვილი | № — Шота Хинчагашвили |
| № — ვახტანგ ქორიძე | № — Вахтанг Коридзе |
| № — დავით მუჯირი | № — Давид Муджири |
| № — ვიტალი დარასელია | № — Виталий Дараселия |
| № — ალექსანდრე ჩივაძე | № — Александр Чивадзе |
| № — მანუჩარ მაჩაიძე | № — Манучар Мачаидзе |
| № — ვახტანგ კოპალეიშვილი | № — Вахтанг Копалейшвили |
| № — გოჩა მაჩაიძე | № — Гоча Мачаидзе |
| № — ვლადიმერ გუცაევი | № — Владимир Гуцаев |
| № — დავით ყიფიანი | № — Давид Кипиани |
| № — რამაზ შენგელია | № — Рамаз Шенгелия |
| № — რევაზ ჩელებაძე | № — Реваз Челебадзе |
| გუნდის კაპიტანი მ. მაჩაიძე | Капитан команды **М. Мачаидзе** |
| უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაცი | Старший тренер **Н. Ахалкаци** |

მსაჯთა ბრიგადა: ლ. აკსელევიჩი, ვ. დემიხოვი, ა. კადეტოვი (ყველა — მოსკოვი).

СУДЕЙСКАЯ БРИГАДА: **Л. Акселевич, В. Демихов, А. Кадетов** (все — Москва).

ფასი 13 კაპ.
ЦЕНА 13 КОП.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ., 14. ტ. 4.000. უე 03093

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
ТБИЛИССКИЙ СТАДИОН «ДИНАМО» ИМЕНИ В. И. ЛЕНИНА

# სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატი
# 41-ЫЙ ЧЕМПИОНАТ СССР

**№ 12 (41)**

კვირა, 9 ივლისი
ВОСКРЕСЕНЬЕ, **9** ИЮЛЯ
**1978**

# ფეხბურთი
# ФУТБОЛ

**«დინამო» — «ზარია»**
თბილისი — ვოროშილოვგრადი

**«ДИНАМО» — «ЗАРЯ»**
ТБИЛИСИ — ВОРОШИЛОВГРАД

დასაწყისი $19^{30}$ საათზე.
НАЧАЛО В $19^{30}$ часов

# 41 ЧЕМПИОНАТ СССР

## ᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ

**ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ** ლიგის საკავშირო ჩემპიონატის გასულ, მე-14 ტურში მასპინძლებმა 8 შეხვედრიდან შვიდი მოიგეს, ხოლო ერთი მატჩი ფრედ დამთავრდა: „სპარტაკი“ — „კაირატი“ — 4:1, „დინამო“ თბ. — „ლოკომოტივი“ — 2:0, „შახტიორი“ — ზენიტი“ — 1:0, „დნეპრი“ — „ტორპედო“ — 2:0, „ზარია“ — „არარატი“ — 1:0, „დინამო“ ქ. — „პახტაკორი“ — 2:2, „დინამო“ მ. — „ნეფტჩი“ — 1:0, „ჩერნომორეცი“ — ცსკა — 4:0.

## ᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

**ᲛᲔ-15 ᲢᲣᲠᲘ** დაიწყო გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრით. დღეს გაიმართება კიდევ 6 მატჩი: „პახტაკორი“ — „დნეპრი“, „ნეფტჩი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ. — „ზარია“, „დინამო“ ქ. — „ტორპედო“, „ზენიტი“ — „კაირატი“, „დინამო“ მ. — ცსკა. ამ ტურის ბოლო შეხვედრა გაიმართება ხვალ: „სპარტაკი“ — „შახტიორი“.

# ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ...

### „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲑ. — „ᲖᲐᲠᲘᲐ“

**ᲩᲕᲔᲜᲘ** დღევანდელი მეტოქე — ვოროშილოვგრადის „ზარია“ უმაღლეს ლიგაში მეცამეტი წელიწადია გამოდის. ახალგაზრდა გუნდმა 1972 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, დანარჩენ სეზონებში კი, როგორც წესი, საპრიზო ადგილის მიღმა რჩებოდა. ტრადიციულად მოგვყავს დღევანდელ ორთაბრძოლაში მონაწილე გუნდების შედეგები ერთმანეთთან შეხვედრებში (ფრჩხილებში აღნიშნულია „ზარიას“ მიერ საკავშირო ჩემპიონატებში დაკავებული ადგილები).

მაშ ასე, თბილისის „დინამო“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“ სსრ კავშირის პირველობის მატჩებში სულ 22-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: 10 თამაში მოიგო „დინამომ“, 3 — „ზარიამ“, 9 — ფრედ დამთავრდა, ბურთების სხვაობაა 32-19 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

1967 — 2:0, 3;3 (16)
1968 — 2:0, 0:0 (13)
1969 — 2:0, 2:0 (11)
1970 — 0:0, 0:0 (5)
1971 — 1:0, 0:0 (4)
1972 — 2:1, 2:2 (1)
1973 — 1:1, 0:3 (7)
(პენალტებით — 4:2)
1974 — 1:2, 3:2 (14)
1975 — 2:2, 2:3 (9)
1976 — 3:0, 3:0 (16, 12)
1977 — 1:0, 0:0 (9).

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

### ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

მდგომარეობა 14 ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲑ. | 14 | 9 | 3 | 2 | 18—10=+8 | 21 |
| 2. „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ“ | 14 | 8 | 4 | 2 | 23—10=+13 | 20 |
| 3. „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ | 13 | 9 | 1 | 3 | 17—9 =+8 | 19 |
| 4. „დინამო“ ქ. | 14 | 5 | 7 | 2 | 20—10=+10 | 17 |
| 5. „დინამო“ მ. | 13 | 6 | 4 | 3 | 17—11=+6 | 16 |
| 6. ცსკა | 14 | 7 | 2 | 5 | 16—17=—1 | 16 |
| 7. „ზენიტი“ | 14 | 4 | 6 | 4 | 16—18=—2 | 14 |
| 8. „ზარია“ | 14 | 5 | 3 | 6 | 17—16=+1 | 13 |
| 9. „ტორპედო“ | 14 | 4 | 5 | 5 | 15—14=+1 | 13 |
| 10. „პახტაკორი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 21—20=+1 | 12 |
| 11. „სპარტაკი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 19—21=—2 | 12 |
| 12. „კაირატი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 13—20=—7 | 12 |
| 13. „ნეფტჩი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 11—15=—4 | 11 |
| 14. „ლოკომოტივი“ | 14 | 3 | 5 | 6 | 12—19=—7 | 11 |
| 15. „არარატი“ | 14 | 3 | 2 | 9 | 6—21=—15 | 8 |
| 16. „დნეპრი“ | 14 | 3 | 1 | 10 | 11—21=—10 | 7 |

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ (ᲨᲐᲑᲐᲗᲡ) ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ: „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ (ᲓᲜᲔᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ). ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ (ᲛᲔ-16 ᲢᲣᲠᲘ) ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ.

footbal.lg.ua

## визитная карточка гостей

# УССР ЗАРЯ Ворошиловград

**ФУТБОЛЬНАЯ** команда спортивного клуба «Заря» (общество «Авангард») Ворошиловградского ордена Ленина тепловозостроительного завода имени Октябрьской революции всего лишь 12-й год выступает в лиге сильнейших, но уже сумела (в 1972 году) взойти на футбольный Олимп.

...В 1937 году заводская команда «Дзержинец» победила в розыгрыше первенства Украины во второй группе, а в следующем году завоевала звание чемпиона республики, проведя турнир без поражения. В сезоне 1939 года луганский «Дзержинец» дебютировал в первенстве СССР среди команд второй группы. В составе команды успешно выступали тогда вратари В. Гребенюк и П. Свидинский, защитники М. Сухарев и Н. Морозов, полузащитники Г. Носко и Н. Красюк, нападающие П. Буянов, П. Юрченко и В. Мовчан. Особенно удачно играл в защите И. Кладько (он же тренер команды), который впоследствии выступал за сборную СССР.

К сожалению, луганские футболисты позже, на протяжении ряда лет уже не блистали по-прежнему, уповая больше на старые заслуги. Но вот во главе лучшей команды Ворошиловграда встал новый наставник — заслуженный тренер СССР К. Бесков. «Заря» заиграла интересно, атакующе, с огоньком. К. Бескова на посту старшего тренера сменил Е. Горянский. И вот первый большой успех — «Заря» выигрывает золотые медали в споре 53-х команд первой лиги и завоевывает единственную путевку в лигу сильнейших.

Через шесть лет «Заря», руководимая уже тренером Г. Зониным, становится чемпионом страны. Вместе со своим наставником радость победы разделили игроки А. Журавлев, А. Ткаченко, М. Форкаш, В. Малыгин, С. Кузнецов, В. Абрамов, Н. Пинчук, Ю. Васенин, В. Кузнецов, В. Семенов, А. Куксов, С. Морозов, В. Онищенко, Ю. Елисеев, В. Старков, А. Шульженко, В. Копий, В. Белоусов, В. Колесниченко.

Накануне нынешнего сезона «Зарю» принял старший тренер Ю. Захаров (он вернулся в клуб после учебы в высшей школе тренеров), который сменил на этом посту заслуженного мастера спорта И. Сабо. На финише прошлого сезона из коллектива ушло ни больше, ни меньше, одиннадцать игроков. Их сменили новобранцы клуба — воспитанники ворошиловградских футбольных школ, а также пришедшие в «Зарю» В. Шевченко из донецкого «Шахтера», А. Марченко из киевского СКА и вернувшийся в команду ветеран А. Журавлев.



**НА СНИМКЕ:** радость победы. 1972 год. Окончен матч «Заря» — «Торпедо». Пять минут назад «Заря» стала чемпионом страны.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ საკავშირო ჩემპიონატის 1 ივლისის მატჩი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, რომელიც ქართველმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0. ამ შეხვედრაში ორივე ბურთი რევაზ ჩელებაძემ გაიტანა. ფოტორეპორტიორ გ. დოლენჯაშვილის სურათზე რ. ჩელებაძის მეორე გოლია აღბეჭდილი.





# მინდორზე მხოლოდ ქალებია

**ქალთა** ფეხბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება არ მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც. საფრანგეთის სპორტული გაზეთის „ეკიპის“ ცნობით, ევროპის ქვეყნებში ამჟამად 70-ზე მეტი ქალთა ფეხბურთის გუნდია. სუსტი სქესის წარმომადგენლები თავიანთთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების საკითხსაც კი აყენებენ. აი რა განაცხადეს, მაგალითად, პორტუგალიის ცნობილი კლუბის „ბენფიკას“ ფეხბურთელთა ცოლებმა და საცოლეებმა თავიანთ ოფიციალურ მიმართვაში: „მოგვბეზრდა მხოლოდ მაყურებლების როლში ყოფნა, მაშინ, როდესაც ჩვენი ქმრები და საქმროები ფეხბურთის ბურთს დასდევენ, ჩვენ კი [illegible] რატომ გადავწყვიტეთ [illegible] სათამაშოდ სხვა ქვეყნების ქალებიც გამოვიწვიოთ.“

**სურათზე:** ქალთა ფეხბურთის გუნდების შეხვედრა ესპანეთში.

football.lg.ua football.lg.ua

41 ЧЕМПИОНАТ СССР

## ტური გასული

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის გასულ, მე-14 ტურში მასპინძლებმა 8 შეხვედრიდან შვიდი მოიგეს, ხოლო ერთი მატჩი ფრედ დამთავრდა: „სპარტაკი“ — „კაირატი“ — 4:1, „დინამო“ თბ. — „ლოკომოტივი“ — 2:0, „შახტიორი“ — ზენიტი“ — 1:0, „დნეპრი“ — „ტორპედო“ — 2:0, „ზარია“ — „არარატი“ — 1:0, „დინამო“ კ. — „პახტაკორი“ — 2:2, „დინამო“ მ. — „ნეფტჩი“ — 1:0, „ჩერნომორეცი“ — ცსკა — 4:0.

## ტური მომავალი

მე-15 ტური დაიწყო გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრით. დღეს გაიმართება კიდევ 6 მატჩი: „პახტაკორი“ — „დნეპრი“, „ნეფტჩი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ. — „ზარია“, „დინამო“ კ. — „ტორპედო“, „ზენიტი“ — „კაირატი“, „დინამო“ მ. — ცსკა. ამ ტურის ბოლო შეხვედრა გაიმართება ხვალ: „სპარტაკი“ — „შახტიორი“.

# მეცამეტე სეზონი...

„დინამო“ თბ. — „ზარია“

ჩვენი დღევანდელი მეტოქე — ვოროშილოვგრადის „ზარია“ უმაღლეს ლიგაში მეცამეტე წელიწადია გამოდის. ახალგაზრდა გუნდმა 1972 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, დანარჩენ სეზონებში კი, როგორც წესი, საპრიზო ადგილის მიღმა რჩებოდა. ტრადიციულად მოგვყავს დღევანდელ ორთარძოლაში მონაწილე გუნდების შედეგები ერთმანეთთან შეხვედრებში (ფრჩხილებში აღნიშნულია „ზარიას“ მიერ საკავშირო ჩემპიონატებში დაკავებული ადგილები).

მაშ ასე, თბილისის „დინამო“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“ სსრ კავშირის პირველობის მატჩებში სულ 22-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: 10 თამაში მოიგო „დინამომ“, 3 — „ზარიამ“, 9 — ფრედ დამთავრდა, ბურთების სხვაობაა 32-19 ქართველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

1967 — 2:0, 3;3 (16)
1968 — 2:0, 0:0 (13)
1969 — 2:0, 2:0 (11)
1970 — 0:0, 0:0 (5)
1971 — 1:0, 0:0 (4)
1972 — 2:1, 2:2 (1)
1973 — 1:1, 0:3 (7)
(პენალტებით — 4:2)
1974 — 1:2, 3:2 (14)
1975 — 2:2, 2:3 (9)
1976 — 3:0, 3:0 (16, 12)
1977 — 1:0, 0:0 (9).

## გათამაშების ცხრილი

### უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 14 ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო“ თბ. | 14 | 9 | 3 | 2 | 18—10=+8 | 21 |
| 2. „ჩერნომორეცი“ | 14 | 8 | 4 | 2 | 23—10=+13 | 20 |
| 3. „შახტიორი“ | 13 | 9 | 1 | 3 | 17—9 =+8 | 19 |
| 4. „დინამო“ კ. | 14 | 5 | 7 | 2 | 20—10=+10 | 17 |
| 5. „დინამო“ მ. | 13 | 6 | 4 | 3 | 17—11=+6 | 16 |
| 6. ცსკა | 14 | 7 | 2 | 5 | 16—17=—1 | 16 |
| 7. „ზენიტი“ | 14 | 4 | 6 | 4 | 16—18=—2 | 14 |
| 8. „ზარია“ | 14 | 5 | 3 | 6 | 17—16=+1 | 13 |
| 9. „ტორპედო“ | 14 | 4 | 5 | 5 | 15—14=+1 | 13 |
| 10. „პახტაკორი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 21—20=+1 | 12 |
| 11. „სპარტაკი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 19—21=—2 | 12 |
| 12. „კაირატი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 13—20=—7 | 12 |
| 13. „ნეფტჩი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 11—15=—4 | 11 |
| 14. „ლოკომოტივი“ | 14 | 3 | 5 | 6 | 12—19=—7 | 11 |
| 15. „არარატი“ | 14 | 3 | 2 | 9 | 6—21=—15 | 8 |
| 16. „დნეპრი“ | 14 | 3 | 1 | 10 | 11—21=—10 | 7 |

15 ივლისს (შაბათს) ჩვენს სტადიონზე გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი). ეს არის დინამოელთა პირველი შეხვედრა (მე-16 ტური) მეორე წრეში.

# ქართული ფეხბურთის დიდოსტატები



## არჩილ კიკნაძე

ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი. იგი ომისწინა წლებში თბილისში ერთ-ერთი უძლიერესთაგანი იყო. სწორედ ამ კოლექტივში თამაშობდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან ბ. პაიჭაძე და გ. გაგუა, ვ. ჯორბენაძე და გ. ჭუმბურიძე, ი. კასრაძე და ვ. რამიშვილი, ნ. ბოლოტინი და ს. სიხარულიძე, ვ. კოძისი, გ. კირილოვი და გუნდის კაპიტანი ა. ყალიჩავა.

აი სწორედ ამ აღიარებულ ოსტატთა გუნდში 1934 წელს მოვიდა ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 19 წლის სტუდენტი არჩილ კიკნაძე.

1937 წელს ეს ტექნიკური ფეხბურთელი უკვე თბილისის „დინამოში“ ჩარიცხეს მარცხენა მცველად. რესპუბლიკის მთავარ გუნდში ა. კიკნაძე 1950 წლამდე თამაშობდა. იგი საკავშირო ჩემპიონატების, თასის გათამაშებების თუ საერთაშორისო მატჩების (მათ შორის ბასკ ფეხბურთელებთან დინამოელთა პირველი შეხვედრის) თითქმის უცვლელი მონაწილე იყო. საკმარისია ითქვას, რომ მარტო პირველობაზე მან 150-მდე მატჩი ჩაატარა.

ა. კიკნაძე მწვანე მოედანზე შესაშური უდრეკელობით, იშვიათი სიდინჯით, ადგილის კარგი შერჩევითა და ბურთის მოხერხებული ართმევით გამოირჩეოდა, იგი კორექტული მოთამაშე, ტყავის ბურთის ნამდვილი რაინდი იყო.

1950 წელს ა. კიკნაძე სათავეში ჩაუდგა თბილისის სპეციალიზებულ საფეხბურთო 35-ე სკოლის მწვრთნელთა საბჭოს. მისი გულმოდგინეობით აქ მთელი რიგი საუკეთესო ოსტატი აღიზარდა. მომდევნო წლებში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ა. კიკნაძის ხელმძღვანელობით ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებებში. 1956-57 წლებში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კიკნაძე მშობლიური კოლექტივის — თბილისის „დინამოს“ მეორე მწვრთნელი იყო — კოლექტივისა, რომელშიც იგი დიდოსტატურად გამოდიოდა 13 წლის განმავლობაში.

სურათზე: 1940 წლის მატჩი მოსკოვში დედაქალაქის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ა. კიკნაძემ (თეთრ მაისურში) საიმედოდ ჩაკეტა სპარტაკელთა სახიფათო ფორვარდი გ. გლაზკოვი.

ი. გუროს მეგობრული შარჟი ა. კიკნაძეზე (მარცხნივ).



